ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის კომისია

სხდომის ოქმი №9

ზუგდიდი

18.11. 2021 წელი

2021 წლის 18 ნოემბერს ჩატარდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის (2021 წლის 20.05 ბრძ.ბ24. 242114019) კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

- **კონსტანტინე კაკავა**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი- კომისიის თავმჯდომარე.

- **ზამირა ღადუა** –ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის თავჯდომარის მოადგილე.

კომისიის წევრები:

- **კობა ჯიქია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი.
- **მაია ჩიტაია** -–ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე- კომისიის წევრი.
- **გიგლა სულამანიძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.
- **ზაზა გაბისონია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და

ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი.

- **ხათუნა დარასელია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის,კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.
- **ია ეხვაია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურის და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.
- **ნატალია პაპასკირი**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - კომისიის წევრი.
- **თამუნა ჯიქია** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" ფრაქციის თავჯდომარე - კომისიის წევრი.
- **ეკატერინე კიფაია** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის კომისიის თავმჯდომარე- კომისიის წევრი.
- **ოთარ ქადარია**--ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- კომისიის წევრი.
- **დავით შამათავა** - სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების სასახლის დირექტორი - კომისიის წევრი.
- **მონიკა შამათავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი.

კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა კომისიის 6 წევრი.

- **ნანი მიქენაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი.
- **ლექსო თოდუა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი.

- **ნინო სიჭინავა-** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.
- **ფრიდონ თოდუა** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი.
- **ირუზა კაკავა-** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი- კომისიის წევრი.
- **ბათლომე შელია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ევროპული საქართველოს" ფრაქციის თავმჯდომარე- კომისიის წევრი.

კომისიის წევრთა ნაწილი, შეხვედრას zoom პროგრამის მეშვეობით ესწრებოდა.

ბელა ხუბუა- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- კომისიის მდივანი.

სხდომის თავმჯდომარე : ზამირა ღადუა

დღის წესრიგი:

1. <u>მისალმება</u>

1. განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის მე-4 მუხლის მეოთხე ქვემუხლში ცვლილების შეტანა.
   ქვეყანაში არსებული პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო, 2021 წელს მერის სტიპენდიაზე წარსადგენად საბუთების მიღების ვადა გაგრძელდეს მიმდინარე წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა

მოისმინეს:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა ზაზა გაბისონიამ კომისიას გააცნო შემოსული განცხადებები.

აზრი გამოთქვა:

კონსტანტინე კაკავა-დღევანდელი შეკრების მიზეზია ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების და მოტივაციის ამაღლების მიზნით ცვლილების შეტანა წესში, რომელიც აძლევს შანს იმ სტუდენტებს რომელთაც ვერ მოასწრეს მერის სტიპენდიაზე განცხადების შემოტანა. პანდემიით გამოწვეული სირთულებიდან გამომდინარე.

ზამირა ღადუა- მძიმე პანდემიის ვითარებაში ხშირად იყო შემთხვევები, როცა უმაღლესი სასწავლებლები ონლაინ რეჟიმში მუშაობდნენ, რის გამო სტუდენტები დროულად ვერ ახერხებდნენ სრულყოფილად დოკუმენტების თავმოყრას. ამის გამო, ვთვლი, რომ ამ ცვლილებით ხელსშევუწყობთ განსაკუთრებულად ნიჭიერ სტუდენტებს, რომლებმაც ამ და სხვა მიზეზით ვერ მოახერხეს დოკუმენტების დროულად და სრულყოფილად შემოტანა.

გიგლა სულამანიძე- აღნიშნული ცვლილება ისევ და ისევ უნდა მოვარგოთ ჩვენ ნიჭიერ სტუდენტებს, რომლებმაც ვერ შეძლეს დროულად საბუთების შემოტანა პანდემიიდან გამომდინარე და ახლა მივცეთ ეს შანსი რომ გახდნენ მერის სტიპენდიანტები. ვფიქრობ ამას ნამდვილად იმსახურებენ, ჩვენ ხელი შეუწყოთ ამ ფორმით.

თამუნა ჯიქია- მივესალმები ამ ინიციატივას. ნამდვილად სწორი მიდგომაა ამ პანდემიის ჟამს. რთულ პერიოდში უწევთ ჩვენს ახალგზრდებს სწავლის მიღება და ეს ჩვენი მცირედი თანადგომა უფრო მეტ მოტივაციას მისცემს.

დაადგინეს:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის წევრების გადაწყვეტილებით:

- განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესში აისახოს ცვლილება, კერძოდ: **მუხლი 4.** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდების (სტუდენტების) ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა - მერის სტიპენდია. მეოთხე ქვემუხლში შევიდეს ცვლილება 2021 წელს მერის სტიპენდიაზე წარსადგენად საბუთების მიღების ვადა გაგრძელდეს მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზამირა ღადუა

წევრები: გიგლა სულამანიძე

ზაზა გაბისონია

ია ეხვაია

მდივანი: ბელა ხუბუა

18.11.2021 წელი.